№ 106

შაბათი, 22 მაისი, 1899 წ.

** გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 106

შაბათი, 22 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია" პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე
ღირება 7 მან. 25 კაპ.

**კნეინა ეკატერინე იაკინთეს ასული, კნეინა ანასტასია სიმონის ასული, თავადნი ნიკოლოოზ, მიხეილ, დავით გიორგის ძენი და კნიაჟნა თამარ გიორგის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის შვილისას, მეორე —ძვირფასის ქმრისას, მესამენი—ძმისას

## თ. ლევან გიორგის ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისას

და სთხოვენ მობრძანდნენ ორშაბათს, 24 მაისისათვის, ს. მუხრანში, სადაც გასვენებულ იქნება მიცვალებულის გვამი სასახლიდგან კარის ეკკლესიაში დილის თერთმეტს საათზედ და იქვე დასაფლავებულ.

24 მაისამდე პანაშვიდი გარდახდილ იქ ნება ყოველდღე, დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (2—70—1)

**პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღესასწაულის გამგე კომისია** ამით აცხადებს, რომ ტფილისში პუშკინის იუბილეი გარდახდილ იქნება 26 მაისს ამ რიგად: ნაშუადღევის პირველ საათზედ, სამხედრო ტაძრის მოედანზე, გოლოვინის პროსპექტზედ, შეიკრიბებიან საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსწავლე ვაჟნი და ქალნი თავიანთის უფროსებით და სხვა და სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი, აგრეთვე ის კერძო კაცნიც, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში, აქედგან პანაშვიდის შემდეგ, რომელსაც ტაძარში გარდაიხდიან, მოდღესასწაულენი გაემართებიან წინადვე დადგენილის წესით გოლოვინის პროსპექტითა და სასახლის ქუჩით პუშკინის ბაღისაკენ, სადაც პუშკინის ძეგლს გვირგვინებით შეამკობენ. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულში და გვირგვინით შეამკოს ძეგლი, უნდა წერილით ან სიტყვიერად აცნობოს ეს კომისის თავმჯდომარეს, ან წევრთ, სახელდობრ: ა. მ. კოლიუბიაკინს (იუნკერთა სასწავლებელში).

ვ. ლ. ველიჩკოს („კავკასის" რედაქციაში).

ე. ნ. გროზდოვს (ახალ არსენალის ქუჩაზედ № 9).

ლ. პ. მასტიცკის (პოლიცმეისტერის კანცელარიაში).

პ. ა. ოპოჩინინს (ლაბორატორიის ქუჩაზედ, სტატკოვსკის სახლი).

ნ. ვ. სტრუვეს, (ბაღის ქუჩაზედ, № 19).

კ. ნ. შულიინს, (ახალი ყორღანოვის ქუჩა, ორნატსკის სახლი).

(3—უ.—3)

შაბათს, 22 მაისს, საზაფხულო „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში წაიკითხავს საჯაროდ, **დამშეულთა სასარგებლოდ**, ლექციას

ვ. ლ. ველიჩკო

შემდეგის სათაურით:

**„ხვედრი პუშკინის პოეზიისა."**

ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზედ და კითხვა გაგრძელდება არა უმეტესს 1 საათის, ან 1 საათის და 15 წამისა.

ლექციაზედ გიმნაზიების მოსწავლეთ დასწრების ნება დართული აქვთ.

ბილეთების ფასი: 3 მ., 2 მ., 1 მ. 50 კ., 1 მ. და 50 კ. შეიძლება, დაწესებულს ვადაზედ, გაზეთ „კავკაზის" სადგომში, აგრეთვე შვეიცარისაგან საზაფხულო „ტფილისის კრუჟოკის" სადგომში. (3—3)

**გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის—„შუამავალის" წარმომადგენელთა წლიური ყრება დანიშნულია ოცდა ხუთ მაისს,** სამშაბათს, პირველ საათზედ ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის სამმართველოში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა.

2, არჩევა გამგეობის ორის წევრისა, მდივნისა და მოლარისა.

3, მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანახმად,—ახალის წესდებისა, უკეთუ მანამდე კამისია წარმოადგენს შემუშავებულს.

4, ნებართვის მიცემა ამხანაგობის მმართველისათვის საჭირო სესხის ასაღებად.

5, ხარჯთ-აღრიცხვა 1899 წლისა.

მმართველი ს. ქეიშვილი

(5—6.—5)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პრონტ-სეკაჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1 1/4—2 1/4 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** 6 1/2—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

# ახალი ამბავი

.˙. 30 მაისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზედ, საქართველოს ექსარხოსი მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ფლაბიანე აკურთხებს ახალის ეკკლესიის საძირკველს, რომელსაც აშენებენ წმ. იოანე ღვთის-მეტყველის სახელობაზედ ყორღანოვის ქუჩის ბოლოში, ძველის ეკკლესიის გალავანში.

.˙. 20 მაისს ტფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთა კრება იყო ა. ს. პუშკინის ხსენების პატივისცემის პროგრამმის შესამუშავებლად. დამსწრეთ დაადგინეს: გარდაიხადონ 26 მაისს პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად, შეამკონ მისი საფლავი გვირგვინით და მისის ხსენების პატივისცემის სახსოვრად დააარსონ ტფილისში ფონდი ასოთ-ამწყობთა დასახმარებლად.

.˙. მცხეთის ტაძრის განმაახლებელს კომიტეტს 1-ლ მაისიდგან 20

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ამერიკელი მუშები.—მათი შინაური ცხოვრება.—ამერიკელნი მდიდარნი.—როგორ იძენენ ამერიკაში მილიონებს.—როკფელლერი, ვანდერბილდი, ჰულდი, ნაიტი, კარნეჯი, ლეიტერი, ქ-ნნი კინგი და სუსანნა ემერი.

ამას წინად პარიჟში დაიბეჭდა ფრანგის მეცნიერის ლევასსერის მეტად საყურადღებო წიგნი. ამ წიგნში აწერილია დაწვრილებით ამერიკელ მუშის მდგომარეობა, იმისი შინაური ცხოვრება, აგრეთვე ის, თუ რას ეტანება და რა შეადგენს იქაურის მუშის მისწრაფებას, იდეალს.

ამერიკის მრეწველობა უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში საოცარისა და მოულოდნელის სისწრაფით განვითარდა და გაძლიერდა. ამ გაძლიერების შედეგი კიდევ ის არის, რომ იქაც, როგორც ყველგან სხვაგან, დღითი დღე წვრილი წარმოება ჰქრება და თავისს ადგილს მსხვილ წარმოებას უთმობს. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ წარმოების საქმეში მანქანა უპირველესს ადგილს დაიჭერდა. ამ გარემოებამ ე. ი., ქარხნებსა და საზოგადოდ სამრეწველო დაწესებულებებში მანქანის გამეფებამ, ამერიკელ მუშას თავისი დაღი დაასვა: იგი მანქანასავით სწრაფი, მარდი და მოძრავი გახდა.

ქარხანაში მუშაობა იმდენ ფიზიკურ ძალას არ მოითხოვს, რამდენსაც ყურადღებასა და დაკვირვებას. ხამ კაცს თავსბრუს დაახვევს და დავთარს დაუბნევს მრავალის მანქანის დანახვა და აუარებელის თვლების ტრიალი. მუშამ გაფაციცებით თვალ-ყური უნდაადევნოს და ხელი შეუწყოს მანქანას, წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალო შეცდომამ შეიძლება მთელის მანქანის მოქმედება შეაჩეროს. ამასთან იმ გარემოების წყალობით, რომ ქარხანა მუშისაგან უფრო დაკვირვებას და ყურადღებას მოითხოვს, შესაძლებელი ხდება სამუშაო დროს შემცირება, ისე-კი, რომ ქარხანას თითქმის არაფერი დააკლდეს. აი, სხვათა შორის, ამაზედ ამყარებენ ამერიკელი მუშები თავიანთ აზრს სამუშაო დროს შემცირების შესახებ და თხოულობენ, რომ ყველა ქარხნებში რვა საათის მუშაობა იქმნას დაწესებული.

ამერიკელის მუშის შრომა მეტად ნაყოფიერია. ამ მხრივ ევროპიელი მუშა ამერიკელს ვერც-კი შეედრება. სასყიდელიც ევროპიელ მუშასთან შედარებით ამერიკელს დიდი ეძლევა. ორთა შუა რიცხვით ამერიკელი მუშა დღეში 3—4 მანეთს იღებს; კალატოზები, მღებავნი და სხვანი 5-8 მანეთამდე იღებენ, მეშუშეები—20 და მეტ მანეთსაც. ქალების შრომა ორჯელ ნაკლებად ჰფასობს ამერიკაში. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ქარხნებში მომუშავე გათხოვილ ქალთა რიცხვი მეტად მცირეა. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს ამერიკელ მუშის კეთილდღეობას ევროპიელ მუშასთან შედარებით.

მუშის ზემოხსენებული სასყიდელი უფრო მეტი იქმნება, თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველისავე სიიაფეს ამერიკაში, სადგომის გარდა. საზოგადოდ ამერიკელი მუშა უფრო ხელ გაშლითა სცხოვრობს, ვიდრე ევროპიელი და მოთხოვნილებაც მეტი აქვს, შეიძლება იმიტომ, რომ სასყიდელს მეტს იღებს. დღეში ამერიკელი მუშა პურს სამჯერა სჭამს. მაგარ სასმელებს ოჯახში იშვიათად ხმარობენ, მაგრამ ლოთობა, როგორც მუშებს, აგრეთვე ამერიკის სხვა კლასებს შორის, ძალიან არის გავრცელებული.

ამერიკელი მუშა ბევრს ფულს ანდომებს ტანისამოსს. ძალიან უყვარს კოხტად ჩაცმა-დახურვა, ასე რომ კვირა-უქმე დღეს ფრაკსა და ცილინდრში გამოწყობილ მუშას ვერც კი გაარჩევთ მდიდარ ბურჟუასაგან. მაგრამ უმთავრესს ხარჯს ამერიკელის მუშებისას მაინც სადგომი შეადგენს. ცოლ-შვილიან მუშას ხშირად ხუთი ოთახი უჭირავს, უფრო იშვიათად ოთხი და სამი. ლევასსერი ამბობს, რომ ბოსტონში ერთად ერთ ცოლ-შვილიან მუშას შევხვდი, რომელსაც ერთი ოთახი ეჭირა მხოლოდაო. ორთა შუა რიცხვით სადგომი წელიწადში მუშას 200 მანეთად უჯდებაო.

ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელდა ამერიკაში ესრედ წოდებული „Tenement—houses"-ი, ე. ი. განსაკუთრებით მუშებისათვის აგებული სახლი, სადაც რამდენსამე ოჯახს შეუძლიან მოთავსება. ყველას ცალ-ცალკე აქვს ოთახები და სამზარეულო; საერთოს შეადგენს მხოლოდ სამკითხველო, საბანაო ოთახი, სარდაფი და ეზო. ასეთს სახლში ოთხი ოთახი ღირს 260 მანეთად. უცოლ-შვილო კაცები და გაუთხოვარი ქალები (მუშები) ან სასტუმროებში დგანან, ან კიდევ პანსიონერებად არიან Boording—houses-ში.

ასეთის დიდის ხარჯის მიუხედავად ამერიკელ მუშას შემოსავლის 1/5 მაინც რჩება. ამ გადარჩენილის ფულით ისტუმრებს სხვა-და-სხვა საზოგადოების, ამხანაგობის, ასოციაციის საწევრო გარდასახადს, ან კიდევ სიცოცხლეს იზღვევს.

ამერიკელ მუშათა შორის ძალიან არის გავრცელებული ერთობა, ერთ ურთის მხრის დაჭერა, გაჭირვებულთა დახმარება. ამ აზრით მუდამ აარსებენ ამხანაგობებს, რომელთა უმთავრესი საგანია მუშათა უფლების დაცვა, სამუშაოს ფასის მომატება, სამუშაო დროს დაკლება. აარსებენ აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებს სხვა.

.˙.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდგანა სჩანს, სოციალურ ბრძოლაში ამერიკელ მუშებს ბევრით გაუსწვრიათ არამცთუ სხვა ქვეყნის, არამედ ევროპის მუშათათვისაც-კი. საზოგადოდ ამერიკელ მუშის ცხოვრება ბევრ რასმეს საყურადღებოსა და საინტერესოს წარმოადგენს. მაგრამ ამ მხრივ მას არც ამერიკელ მდიდრის ცხოვრება ჩამორჩება, იქაც ბევრი რამ არის ღირს საყურადღებო და დამაფიქრებელი, ამერიკაში მილიო-

მაისამდე მიუღია ამ ტაძრის განსაახლებლად 6,762 მან. და 29 კაპ., აქედგან, 5,000 მანეთი შეუწირავს ერთს კაცს, რომელსაც არ მოუსურვებია თავისის ვინაობის გამოცხადება. სულ მცხეთის ტაძრის სასარგებლოდ დღემდე შემოსულა 34,074 მანეთი და 32 კაპეიკი.

*** 20 მაისს ქალაქის საბჭომ დაიწყო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, მაგრამ ნახევარის საათის შემდეგ ქალაქის მოურავი იძულებული შეიქმნა მოესპო სხდომა, რადგან ხმოსნები: ა. ს. ზაზოვი, ნ. ა ხუდადოვი და თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი სხდომიდგან წავიდნენ. მათის წასვლის მიზეზი ის იყო, რომ ქალაქის მოურავმა შენიშვნა მისცა ხმოსანს ხუდადოვს იმის გამო, რომ მან ასეთის სიტყვებით მიჰმართა მოურავს: „თქვენ მეტად ბიუროტად ჰხმარობთ თავმჯდომარის უფლებასა".

*** ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა მაზრის უფროსებს, განუმარტეთ ყაჩაღის მძებნელს ჩაფრებს, რომ კარგად დაუკვირდნენ საეჭვო კაცთ, რომელთაც საერო დარაჯთა და საზოგადოდ პოლიციის ტანისამოსი აცვიათ, რადგან ცნობილი ყაჩაღი ალაი ბეკ მუსაკულოვი იცვამდა ხოლმე ბოქაულის და ხან ჩაფრის ტანისამოსს, მისი ამხანაგებიკი—საერო დარაჯთა ტანისამოსს, შედიოდა სოფლებში და იმალებოდა.

*** ხვალ, 23 მაისს, დუშეთში გაემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე საქალაქო განყოფილების სესსია გამიჯვნის საქმეთა გასაწესრიგებლად.

*** ტფილისის გუბერნიის სახაზინო გლეხთა რამდენიმე საზოგადოებას შუამდგომლობა ღუძრავს მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მათ უფლება მიეცეთ იჯარით გასცენ ის საზოგადო ადგილები, რომელიც ამათის ნადელების საზღვრებში იმყოფება.

*** მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ი. ს. მედვედევმა სთხოვა ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნატორებს და კავკასიის წყალთა და მდინარეთა ინსპექტორებს, შეჰკრიბეთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოჰყავთ ბრინჯი თქვენდამი რწმუნებულს გუბერნიებშიო.

*** 19 მაისს ტფილისის ვაჭრებს კრება ჰქონდათ ტფილისის მომავალ საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრთა არჩევნების გამო, რომელიც დანიშნულია კვირას, 23 მაისისათვის.

*** ჯიშიან ხბოთა გამოფენამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ტფილისში მარჯვედ ჩაიარა. გამოფენაზედ მოყვანილ 17 ხბოდგან გაიყიდა 14 ხბო, რომლებიც იყიდეს თავ. ი. გ. ამილახვარმა (4 ხბო), თავ. მ. რ. ერისთავმა, თავ. კ. მ. ამირაჯიბმა, კ. ნ. სამოილოვიჩმა, ა. ი. ყაზაროვმა, ფორერმა და ზინჩენკომ თითო ხბო. ფასი 100—200 მ.

*** ბათუმის ქალაქის საბჭოს, ხმოსნის დუმბაძის მოხსენების თანახმად, საჭიროდ არ უცვნია აგებულ იქმნას ადგილობრივს გიმნაზიასთან მოსწავლეთა საზოგადო სადგომი და დირექტორ-ინსპექტორის ბინა.

*** რკინის გზის დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას ნავთის გადასაზიდი გარდასახადი ბაქოდგან ბათუმამდე. („კავ").

*** „ახ. მიმ."-ს ოზურგეთიდგან სწერენ, რომ სახელმწიფო საბჭოს გადაუდვია საჭირო ფული სოხუმისა და ოზურგეთის გზების გასაყვანად. კორესპოდენტი საჭიროდ სცნობს, რომ სოხუმის გზაზედ უფრო ადრე ბათუმ-ოზურგეთის გზის გაყვანას შეუდგნენ, რადგან მდ. ბჟუჯზედ ხიდის უქონლობა ოზურგეთში მეტად აფერხებს მეურნეობას და მრეწველობას, ხელს უშლის ადმინისტრაციის და სასამართლოს მოხელეთა მოქმედებას და სხვ.

*** „კავკასს" ატყობინებენ, რომ ხელმწიფე-იმპერატორმა, ტფილისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, კეთილ-ინება და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის 50 წლის სახელმწიფო მოღვაწეობის სახსოვარ-საყოფელად დაერქვას „დიდი მთავრის ქუჩა" წყლის პირის ქუჩას ქ. ტფილისში, რომელიც ნიკოლოოზის ქუჩიდგან იწყება და მიდის იუნკერთა სასწავლებლამდე. ამ ქუჩაზედვე იმყოფება მისის უმაღლესობის სახელზედ დაარსებული მე-2 სავაჟო გიმნაზია და რკინის გზის სასწავლებელი.

*** როგორც „ახ. მიმ." შეუტყვია, კავკასიის უმაღლეს მთავრობას წარედგინება განსახილველად ის საგანი, რომ სასყიდელი მიეცეთ გლეხებს იმ „სანადელო" ადგილებში, რომლებზედაც ამიერ-კავკასიის რკინის გზა იქმნა გაყვანილი.

*** სოფ. გომი, (მეტეხის საზოგადოება). წელს აქეთ სამაგალითო გაზაფხული იყო: თავისს დროზედ სითბო და წვიმა არ მოჰკლებია დედა-მიწას; ხეხილი და ვაზი სხვა წლებთან შედარებით ადრე გამოვიდა და ჰირნახულის მოსავალმაც კარგი პირი იჩინა, ხილს ბევრს მოველით. ამან მოიზიდა ტფილისის ბაყლები, რომელთაც მცხოვრებთა მომეტებულმა ნაწილმა ყვავილობის დროსვე მიჰყიდა ხილის მოსავალი; უმცირესობა-კი თითონვე ზიდავს კასპის სადგურზედ და იქ ჰყიდის მგზავრებზედ. თუმცა შარშანდელმა სასტიკმა ზამთარმა ვაზს დიდი ზიანი მისცა, მაინც წელს ყურძენი მშვენივრად გამოიტანა. მეურნე გლეხი სიხარულით ფეხზედ აღარა სდგას, რადგან, თუ სეტყვა არ გამოუტყვრა, საშუალო მოსავალი მაინც მოუვა. ნათესიდგანაც საშუალო მოსავლის იმედი აქვთ აქაურებს.

*** ფოთი. 18 მაისს ქალაქის საბჭომ, სხვათა შორის, დაადგინა როგორ უნდა იდღესასწაულოს ქალაქმა ა. ს. პუშკინის ასის წლის დაბადების დღე: 26 მაისს საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად, შემდეგ ქალაქის სკოლის მოსწავლეებს დაურიგდებათ საჩუქრად პოეტის თხზულებანი, იაფ ფასად გამოცემულნი, რომელნიც გამგეობას წინდაწინ ამ დღისათვის 60 მ. გამოუწერია. ამასთანავე საბჭომ გარდასწყვიტა დიდ-კუნძულზედ ხილკოვის პროსპექტის გვერდით მდებარე განბუტსვას მოედანს პუშკინის სახელი დაერქვას.

*** სოფ. ლანჩხუთი, (გურია). წინა წლებში აქ დიდათ იყო გავრცელებული ქურდობა, მაგრამ მაზრის უფროსისა და ბოქაულის წყალობით მოისპო ეს სამარცხვინო საქმე. მაგრამ დღეს ისევ იჩინა თავი ქურდობამ. სხვათა შორის აღდგომის კვირაში გაუტეხეს ჯაფარიძეს წისქვილი და წაიღეს ფქვილი, მასვე მოჰპარეს იმავე კვირაში ორი თითო წლის ხბო და ერთი ღორი, ხოლო ამ მაისში მოჰპარეს ბოსტანში სხვადასხვა ბოსტნეულობა და თუთის ხეები. აღდგომისავე კვირაში მოჰპარეს გვარჯალაძეს და სხვებს ძროხები. თუმცა ესე ყოველივე მივიდა ადგილობრივ მამასახლისის ყურამდე, და ადვილად შეეძლო აღმოეჩინა ქურდები, მაგრამ არავითარი ზომა არ მიიღო. უეჭველია, ეხლა კიდევ უფრო გავრცელდება ამ გვარი ცუდი მოქმედება, მამასახლისმა თუ ამაზედ უფრო არ გაანძრია ყური. ამიტომ იმედია ჩვენი მაზრის უფროსი ბ-ნი ლაზარენკო და ბოქაული იოსელი-ნი მიაქცევენ ყურადღებას ყოველივე ზემო თქმულს და გააფრხილებენ სოფლის მოხელეთ.

*** ს. ნაბათი-ქრისტიანი, (კავკ. მაზრა). ამ სოფელში ყელჭირვებამ იმსხვერპლა აქაური მღვდლის ნესტორ ბაკურაძის თერთმეტის წლის ქალიშვილი ნინო, რომელიც საბრალო მშობლებმა სააღდგომოდ მოიყვანეს კავკავიდგან, სადაც სკოლაში სწავლობდა. ჰირნახულს კარგი პირი უჩანს აქეთ და აგრეთვე სათიბებსაც.

*** 19 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ვასილიევი დაბრუნდა პეტერბურგიდგან ტფილისს და შეუდგა თავისს თანამდებობის აღსრულებას.

*** ტფილისის საგუბერნიო გამგეობას განზრახვა აქვს დააარსოს ბორჯომის ნაწილში რამდენიმე სადარაჯო.

*** ქალაქის გამგეობაში ტფილისის მცხოვრებთ ყოველ დღე საჩივარი შეაქვთ ყასბებზედ, რომლებიც, 8 კაპიკის მაგივრად, 10—11 კაპიკად ჰყიდიან ყოვლად უვარგისს ხორცს.

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. სამტრედია**, (ქუთაისის მაზრა). ამ 25—30 წლის წინად სამტრედია ერთს ჭაობიანს ადგილს წარმოადგენდა, სადაც ბაყაყების გარდა სხვა რაიმე სულდგმულს მეტად შეხვდებოდა მგზავრი. მაგრამ რკინის გზის გაყვანის შემდეგ აქ გაჩნდა ხალხი და სამტრედიაც დღითი დღე წარმატებაში შედიოდა. ეხლა რომ უცხო კაცი მოვიდეს აქ, ასე ეგონება, რომ სამტრედია ქალაქი არისო. დაბას ამშვენებს დიდრონი ორ-სართულიანი სახლები, მრავალი მაღაზია და ბაღები. არც ერთს პატარა ქალაქს არ ჩამოუვარდება იგი არც სიდიდით და არც ალებ-მიცემობით. მაგრამ დღეს სამტრედიას დიდად ხელს უშლის ის გარემოება, რომ აქაურ დიდის სახლების პატრონებს სამი და ოთხი ათას თუმნობით აქვთ დახარჯული იმათ აშენებისათვის და გაწყობისათვის რომ ფულები სჭირდებათ, ერთის კაპეიკის გამოტანაც არ შეუძლიათ რომელისამე ბანკიდგან, რადგანაც მამულები სოფლისათ ითვლება. ამის გამო აქაურები იძულებულნი არიან ფულის სასესხებლად მიჰმართონ კერძო

---

ნების პატრონი, მდიდარი უთვალავია, მაგრამ როგორც თვით ამერიკელების, ისე ევროპიელების ყურადღებას იპყრობენ მხოლოდ უპირველესნი მდიდარნი, „ფულის მეფენი": ასტორები, ვანდერბილდები, როკფელლერები, ჰულდები და სხვანი.

ამ უკანასკნელთა, იმათ ცხოვრებისა და სიმდიდრის შესახებ ჩვენს გაზეთში ბევრი რამ დაწერილა. ეჭვი არ არის, ყველას გააკვირვებდა ის უთვალავი სიმდიდრე, რომელიც ამ კაცების საკუთრებას შეადგენს და ყველა იკითხავდა, საიდგან, როგორ და რა შრომით აქვთ შეძენილი ეს სიმდიდრეო? ბევრი გაიფიქრებდა, რომ ამოდენა შეძლება პატიოსანის შრომით არ ექნებათ შეძენილიო. რამდენად პატიოსნად იგებენ მილიონებს საზოგადოდ მდიდრები, ამისას არას ვიტყვით, მხოლოდ რაც შეეხება ამერიკელ მილიარდის პატრონებს, უნდა ვთქვათ, რომ ყველა იმათ ერთ გვარად და ერთის საშუალებით აქვთ შეძენილი მილიონები. ეს საშუალება გახლავთ „trust" ანუ როგორც საზოგადოდ უწოდებენ „სინდიკატი".

მართლაც, სინდიკატი საუკეთესო ხერხია სულ მოკლე ხანში მილიონების შესაძენად. აი, სინდიკატი რა არის: ხუთი, ექვსი ან უფრო მეტი უპირველესნი მდიდარნი ერთად უყრიან თავს მთელ თავიანთ შეძლებას და ამ რიგად შეკრებულ დიდ თანხას ვაჭრობის ან მრეწველობის ერთს რომელსამე დარგს ანდომებენ. პირველის დღიდგან სინდიკატი მეტოქეობას უწევს და ბრძოლას უცხადებს ამავე დარგის დანარჩენ ვაჭართ, ან მრეწველთ. ზარალს არ დაეძებს და ნაწარმოებს იმაზედ ნაკლებადა ჰყიდის, რაც თითონ უჯდება. რასაკვირველია, მუშტარი ბუხივით ესევა სინდიკატს. დანარჩენ მწარმოებელთ, როგორც მცირე თანხის პატრონთ, არ შეუძლიანთ იმავე ფასად გაჰყიდონ ნაწარმოები, ამიტომ ორი გზა-ღა რჩებათ —ან უნდა გაკოტრდნენ და ან კიდევ გაკოტრებას დაასწრონ და თავიანთი ქარხნები თუ სხვა რამ დაწესებულებანი იმავე სინდიკატს მიჰყიდონ. ამ რიგად, ორის, სამის ან ოთხის თვის შემდეგ ბრძოლის ველზედ სინდიკატი-ღა რჩება. აი, აქედგან იწყება გამდიდრება. აქამდის თუ ზარალი იყო, ეხლა ერთი ათად მოგებაა. რაკი მეტოქე აღარავინა რჩება და მაზანდის დამწესებელი თვით სინდიკატიღაა, ფასს, რამდენიც უნდა, იმდენს უმატებს ნაწარმოებს.

როგორც ჰხედავს მკითხველი, სინდიკატი იგივე აშკარა მტაცებლობაა, მხოლოდ მტაცებლობა „გაპატიოსნებული" და კანონისაგან ხელ-დაფარებული. მართალია, ამ ბოლოს დროს კანონიც-კი აღარ აფარებს ხელს სინდიკატს, მაგრამ მოგეხსენებათ, კანონსაც ბევრი გასაძრომ-გამოსაძრომი აქვს და ვექილიც ღმერთმა ხომ იმიტომ გააჩინა, რომ, იყოს და არ იყოს, გასაძრომი გამოსძებნოს.

ასე თუ ისე, კანონის მიუხედავად, სინდიკატს ამერიკაში დღესაც დიდი გასავალი აქვს და იმის მეოხებით „ფულის მეფენი" დღესაც ბევრს უტირებენ დედას და ბევრს აღვრევინებენ მწარე ცრემლებს. აიღოთ თუნდა როკფელლერი, ეს ერთი უპირველესი მდიდართაგანი მთელ დედამიწის ზურგზედ. როკფელლერს არა ერთხელ და ორჯელ მოჰხდენია ბრალდებულთა სკამზედ ჯდომა სწორედ ამ სინდიკატის გადაჭარბებულად გამოყენებისათვის, მაგრამ მილიონები რისთვისა აქვს, თუკი გაჭირვების დროს არ გამოიყენებს: მილიონების წყალობით ყოველთვის მართალი გამოსულა, ხოლო მტყუანი ისევ იმისაგან გაძარცული მსხვერპლი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ ბოლოს დროს ერთის საჩივრის გამო საქმე იქამდის მივიდა, რომ ლამის როკფელლერის მილიონებმაც ვეღარაფერი გააწყოს. შარშან სასამართლოში როკფელლერის საქმე უნდა გარჩეულიყო. როკფელლერმა ბრალმდებელს ერთი მილიონი მანეთი შეაძლია, ოღონდ საბრალმდებლო სიტყვას ნუ წარმოსთქვამო. მაგრამ ბრალმდებელი მეტად პატიოსანი კაცი გამოდგა და ქრთამის აღების ნაცვლად დაასმინა, ასე რომ როკფელლერი სისხლის სამართალში უნდა იქმნას მიცემული, თუ, რასაკვირველია, სხვა მოსამართლენიც ერთ ან ორ მილიონს არ დახარბდებიან და ისეთივე პატიოსანნი გამოდგებიან, როგორც ბრალმდებელი.

როკფელლერის, ერთ ასეთ მსხვერპლად გახდა ვინმე რაისი. ამ რაისმა 1876 წელს ვირგინიაში ნავთის ქარხანა ააგო. იმის-და საუბედუროდ, ამავე საქმეს, ნავთის წარმოებას, ხელი მოჰკიდა როკფელლერმაც, სინდიკატი დააარსა და რაისის ქარხნის ქვერდზედ უზარმაზარი ქარხანა გამოჰკიდა. ნავთის ფასი იმდენად დაუკლო, რომ რაისმა ორის კვირის შემდეგ მეტოქეობა ვეღარ გაუწია და გაკოტრდა. თუმცა რაისმა უჩივლა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მალე როკფელლერმა რაისს სხვა ქარხნის პატრონებიც უკან დაადევნა, ასე რომ რამდენისამე ხნის შემდეგ ნავთის წარმოების საქმეში ყველას ხელი დაიბანინა და სრული ბატონი თვით გახდა. ამ დღიდგან ნავთის ფასს მოუმატა და გამდიდრების გზას დაადგა. დღეს მარტო სინდიკატი წელიწადში 60 მილიონ შემოსავალს აძლევს როკფელლერს. თუ რა საოცარის სისწრაფით სქელდება როკფელლერის ჯიბე, ამის დასასურათხატებლად შემდეგიცა კმარა: 1955 წელს როკფელლერის შეძლება 50,000 მანეთს არ აღემატებოდა, 1870 წ. უკვე 500,000 მანეთი შეძლება ჰქონდა; 1875—10,000,000 მანეთი; 1885 წ.—500,000,000 მ., 1890 წ.—1,000,000,000 მ., დღეს-კი 2,560,000,000 მანეთი შეძლება აქვს! უძრავი ქონება, ბანკში შენახული სხვა-და-სხვა სარგებლიანი ქაღალდები კიდევ მეტია.

როკფელლერს 200 საკუთარი გემი და 70,000 ვაგონი აქვს ნავთის გადასაზიდად. მარტო ქარხნებში 25,000 მუშა მუშაობს; რამდენიმე ათასიც გემებსა და ვაგონებზედ მოსამსახურეა. თუ როკფელლერმა მოიწადინა, ყველა ესენი შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ულუკმა პუროდ დარჩნენ.

ამ ბოლოს დროს როკფელლერი მოიქანცა, მოიღალა და მოსვენება მოიწადინა. ამიტომ გაზეთებში გა-

გაცებს და, რაღა თქმა უნდა, ფულის სარგებლიც მომეტებული ისადონ.

დიდი ხანია, სამტრედიელებმა თხოვნა მიართვეს მთავრობას და ითხოვეს სამტრედიას პოსადის უფლება მიენიჭებოდა *). დარწმუნებულნი არიან, რომ მათი კანონიერი თხოვნა დაკმაყოფილებული იქმნება. მაშინ აქაურ მემამულეთ საშუალება მიეცემათ სესხი აიღონ ბანკებიდგან, და საზოგადოდ აქაური ალებ-მიცემობა თუ სხვა რაიმე საქმე დიდად დაწინაურდება. ეს უპირველესი საშუალებაა, რათა ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები უცხო ქვეყნიდგან მოსულ ვაჭრებს არ ჩაუვარდეს ხელში, არამედ ჩვენვე შეგვეძლოს მისი გასაღება. უნდა ვსთქვათ, რომ აქ დიდი ალაგი უჭირავს სიმინდისა და აბრეშუმის ვაჭრობას, მაგრამ ერთიცა და მეორეც მოსული ხალხის, ბერძნებისა და სომხების ხელშია. ამის მიზეზი ჩვენი ხელმოკლეობაა, ფული არა გვაქვს, თორემ დღეს ჩვენმა ვაჭრებმა კარგად იციან ყველა ალაგები, სად რა უნდა გაიტანონ გასასყიდად და საიდგან რა უნდა წამოიღონ.

ი. მი—ძე

# რუსეთი

—

რუსეთის სიტყვიერების მოყვარეთა საზოგადოება, რომელიც არსებობს ქ. მოსკოვის უნივერსიტეტთან და რომლის „შრომებში“ პუშკინი მონაწილეობას იღებდა, განსაკუთრებით ღირსეულად აპირებს დიდებულ პოეტის ხსენების პატივისცემას. ამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ წარსულის წლის 16 ოქტომბერს აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო პუშკინის იუბილეის დღესასწაულის პროგრამის შემუშავება. ამ ჟამად ეს საზოგადოება სთხოვს სხვა-და-სხვა დაწესებულებათ და კერძო კაცთ მიიღონ მონაწილეობა დღესასწაულში

*) ამას წინად ხმა გაისმა, მთავრობამ უკვე შეიწყნარა ეს თხოვნაო, მაგრამ დარწმუნებით ჯერ არა ვიცით-რა.

დეპუტაციების ან არა და მილოცვის გაგზავნით მაინც და ხელი შეუწყონ განზრახულს დღესასწაულს. საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ რიგად გარდაიხადოს დღესასწაული: 26 მაისს წირვისა და პანაშვიდის შემდეგ დაათვალიერებენ იმ სახლს, სადაც დაიბადა პუშკინი; მას უკან შეამკობს პუშკინის ძეგლს გვირგვინით; ნაშუადღევის ორს საათზედ გამართავს სადღესასწაულო სხდომას უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, სადაც წარმოითქმება სიტყვები და წაიკითხება დეპუტაციების მილოცვა; საღამოს ექვს საათზედ გაიმართება სადილი ხელის-მოწერით. 27 მაისს გაიხსნება პუშკინის ორი გამოფენა მუზეუმებში; საღამოს გაიმართება პირველი სალიტერატურო საღამო. 28 მაისს მოხდება სხდომა, რომელზედაც წაიკითხავენ რეფერატებს პუშკინის შესახებ; სხდომაზედ მეორე სალიტერატურო საღამო იქნენა.

# უცხოეთი

**ავსტრია.** ყველა გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ნემცთა დასების საერთო პროგრამას. ჩეხები, პოლონელები და ვენგრიელებიც-კი სასტიკად ჰკიცხავენ მას. ჩეხური გაზეთები ამბობენ, მაგალითად, რომ ხსენებულ პროგრამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ სახემწიფოს არსებულ წეს-წყობილების დარღვევის შემდეგო, რადგან იგი თავიდგან ბოლომდისინ წინააღმდეგია ავსტრიის კონსტიტუციისაო. ეს პროგრამა საბრძოლველად გვიწვევს ყველას, არა ნემცებსო; იმის აზრად აქვს უკან გიყვნეთ ჩამორჩენილნი, მხოლოდ სამაგლოდ გვქონდეს არსებობის ნება სახელმწიფოში, ხოლო სლოვენცებს ყოველგვარ უფლებას უსპობსო. ასეთი პროგრამა, კარგად იციდნენ, თვითვე ნემცებისთვის უფრო ცუდიაო. პოლონური გაზეთები განუხორციელებელს ეძახიან ნემცების პროგრამას, რომელიც, მათის სიტყვით, შრომის ფასადაც არა ღირს, რაიცა უკვე გამოსთქვეს ნემცთა უკიდურეს დასის მოთავეებმა—შენერერმა და ვოლფმა. ერთი გაზეთი ამბობს, რომ სლავიანები მაინც დაპყრობილი ბარბაროსები როდი არიან, თავისის ნებით რომ უარი განაცხადონ თავიანთ უფლებებზედო. ხსენებულ პროგრამის შინაარსს ასე გადმოგვცემს მოკლედ გაზეთი „Vaterland“-ი: „თავისთვის, რაც შეიძლება, მეტი, სხვებისთვის, რაც შეიძლება, ნაკლებიო“. ვენგრიელ გაზეთის „Pesti Naplo“-ს სიტყვით, ავსტრიის ნემცები ეხლაც ისეთივე არიან, როგორიც ამ ოც-და ათი წლის წინად იყვნენ: ისინი მოწადინებულნი არიან, არა მარტო სლავიანები იყოლიონ მორჩილებაში, რომელნიც ორ წილად მეტნი არიან მათზე, არამედ ვენგრიელებზედაც უნდათ გაბატონებაო.

# დამაკვირდი

არ კარგა კაცი უწყალი,
ნიადაგ სისხლთა მღვრელია.

როსტომ გმირი

***

თავისა დამკარგავი მამულსაც ჰკარგავს და კერასაც აქრობს.

ლასურიძე

***

ცნობა კეთილ არს და დიდად სახმარ, თუ კაცი კეთილად იკვეხდეს, ბოროტად მხმარებელთათვის კი იგი ბოროტია.

წმ. გრიგოლ.

## უცხო-ალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დღეს დედამიწის ზურგზედ ბევრია თურმე წყალს ქვეშ მოქცეული ქალაქი. იმ ადგილას, სადაც ეს ქალაქებია, უწინ ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა, მაგრამ შემდეგ ზღვამ წალეკა და ქვეშ მოიქცა. ბევრგან შენობები მშვენიერად შენახულა და კარგ ამინდის დროს გემიდგანაც კი სჩანს თურმე. სხვათა შორის ასეთი ქალაქები სოხუმსა და ბაქოს მახლობლად ზღვაშიაც ყოფილა. სოხუმის ნაპირთან მზიან დღეს მგზავრი ადვილად გაარჩევს წყალში შენობის კედლებს, ქვის ბოძებს, და მთელს კოშკებს. ზოგიერთი შენობა იმდენად მაღალია, რომ ზღვის ღელვის დროს ისიც გამოჩნდება ხოლმე. ამ შენობებზედ მრავლად არის ამოსული წყლის ბალახი. შენობანი იწყობა ნაპირიდგან 30—40 საჟენის მანძილზედ და თითქმის ერთი ვერსი ადგილი უჭირავთ. არქეოლოგის ბრუნოს სიტყვით ეს შენობანი ეკუთვნოდნენ ძველს ქალაქს დიოსკურიას, რომელიც დაარსებულ იქმნა 1300 წლებში ქრისტეს დაბადების წინად. პომპეისა და მიტრიდატის ომის დროს დიოსკურია განადგურებულ იქმნა, მაგრამ შემდეგ ადრიანის მეფობის დროს განუახლებიათ და სახელად სევასტოპოლი დაურქმევიათ. დიოსკურია თავისის ვაჭრობით განთქმული იყო განსაკუთრებით მე16—17 საუკუნოებში, როდესაც ეს ქალაქი ვენეციელებსა და გენუელებს ეპყრათ. შემდეგ დიოსკურია, ანუ სოხუმ-კალე ოსმალთ ჩაიგდეს ხელთ და თითქმის მიწასთან გაასწორეს. დანამდვილებით არ იციან, ზღვას როდის წაულეკია სოხუმ-კალე, ხოლო სათუოდ ამბობენ, რომ ეს ამბავი ამ 300—400 წლის წინად უნდა მომხდარიყოსო. ამასთან ზღვას ერთბაშად არ წაულეკია ქალაქი, არამედ დრო გამოშვებით.

რაც შეეხება ბაქოს, იქ შენობანი ზღვაში ნაპირიდგან ერთის ვერსის მანძილზეა. წალეკილს ქალაქს ძალიან დიდი ადგილი უჭირავს. არაფერი არ უწყიან ჯერ-ჯერობით იმის შესახებ, როდის არსებობდა აქ ქალაქი და როდის იქმნა იგი წყლისაგან წალეკილი.

***

გრაფ ტოლსტოის მოძღვრებას ევროპაშიაც ბლომადა ჰყავს მიმდევარი. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ მოძღვრების მიმდევართ პროფესსორის ვან-რეესისა და პასტორების კილსტრასა და დევვას მეთაურობით აზრადა აქვთ აპელდოორნის მახლობლად ახალშენიც-კი გამართონ. ახალშენის წევრებმა ყოველ დღე უბრალო მუშებსავით უნდა იმუშაონ. ვინც მუშაობის თანახმა არ იქმნება, იმას ახალშენის წევრად არ მიიღებენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მაისი

**პარიჟი.** ფლატეფმა სასამართლოს წინადადება მისცა, დერულედი გაამართლეთო. დერულედმა და გაბერმა განაცხადეს, რომ თავისუფლებას არ მივიღებთ, ორივე თუ გამართლებულ არ ვიქნებითო. მოსამართლეებმა მათი განსამართლებელი განჩინება გამოიტანეს. თავმჯდომარემ ბრძანება გასცა გაენთავისუფლებინათ ბრალდებულნი. საზოგადოება სკამებს ეცა და ჰყვიროდა: „გაუმარჯოს დერულედს, გაუმარჯოს ნაფიც მსაჯულთაო“. და მარსელიეზას მღეროდა. დერულედსა და გაბერს გარს შემოეხვივნენ და ყველანი ხელსართმევდნენ. დერულედმა მადლობა გარდაუხადა მათ და ნაფიც მსაჯულთ და გარეთ გავიდა.

**პარიჟი.** სასამართლოდგან გამოსვლის დროს ხალხი ტაშს უკრავდა დერულედს. არავითარი საყურადღებო შემთხვევა არ მომხდარა. დერულედი „პატრიოტთა ლიგის“ დარბაზში წავიდა და საღამოს კრებისათვის მიიწვია თავისი მეგობრები.

**პარიჟი.** სენატის სამ რესპუბლიკანურ დასის პრეზიდენტები შეეკითხნენ დიუპუის—მართალი არისო ის სიტყვები, რომელთაც გაზეთები გენერალ ერვიეს აწერენ, და ამ შემთხვევაში როგორ ღონისძიების ხმარებას აპირებო. დიუპუიმ უპასუხა, რომ თქვენზედ ნაკლებ არ ავუღელვებივარ გაზეთების ცნობებს სასამართლოში მომხდარ ინციდენტის შესახებ და მე ნამდვილად გავიგებ, რაც მოხდაო. მინისტრმა სთხოვა მათ, დარწმუნებული იყავითო, რომ მე შემძლიან დროს შესაფერი ზომები ვიხმაროვო.

**პარიჟი.** დრეიფუს'ის საქმე. მანომ მოაგონა სასამართლოს ის სცენა, რომელიც ანრისა და ესტერგაზის შორის მოხდა ბერტულიუსის კაბინეტში და შემდეგ სთქვა, რომ ლეგენდა არის ის ხმები, ვითომც დრეიფუსი გამოტეხილიყვესო. იმან სთქვა, რომ ლებრენ-რენო დიდად პატივცემული აფიცერია, მაგრამ ძლიერ შთაბეჭდილების მქონეა და ალტაცებულიო. მანო სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შეუძლებელია დრეიფუსი გამოტეხილიყოსო, რომელიც მუდამ იმას გაიძახოდა, რომ უდანაშაულო ვარო, და შემდეგ გაჰკიცხა კავენიაკი იმისათვის, რომ ის დაჟინებით ამბობდა, დრეიფუსი

მოაცხადა, წელიწადში 5 მილიონს მივცემ იმას, ვინც გამგედ დამიდგება და უჩემოდ ყველა ჩემ საქმეს აწარმოებსო. მაგრამ ასეთი კაცი დღემდის არავინ გამოჩენილა.

ასევე, როგორც როკფელლერი, გამდიდრდნენ ამერიკის სხვა „მეფენიც“: ვანდერბილდი, ჰულდი, გავმეირი, კარნეჯი, ნაიტი, კლანკი და სხვანი. ამათში ყველაზედ უფრო დაუზოგველი და შეუბრალებელი ჰენრი გავმეირია. 1888 წელს დააარსა გავმეირმა შაქრის სინდიკატი; მესამე დღესვე კაცი გაუგზავნა შაქრის უდიდეს ქარხნის North River Refininh Comoany-ს პატრონებს და შეუთვალა, დაუყოვნებლივ თქვენი ქარხანა გააუქმეთო. როდესაც ქარხნის დირექციისაგან უარი მიიღო, საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ამიერიდგან შაქარს ნამდვილ ღირებულობაზედ ნაკლებ გავყიდიო. მუშტარი მაშინვე სინდიკატს მიაწყდა. ცოტა ხანს შემდეგ არამც თუ წინანდელ ფასს დაუბრუნდა, არამედ 25 პროცენტიც მოუმატა. ახლა მუშტარი ისევ წინანდელ ქარხნისაკენ გაქანდა, მაგრამ ქარხნის კარებზედ შემდეგი განცხადება ამოიკითხა: ეს ქარხანა როკფელლერისაა. თურმე ეს ქარხანაც იმას შეუძენია და იქაც იგივე ფასი დაუწესებია.

დღეს ამერიკაში 24 შაქრის ქარხანაა, აქედგან როკფელლერისა— ოცია. იმის ქარხნებში მუშაობს 30,000 მუშა; როკფელლერის შეძლება 1,200,000,000 მანეთს აღემატება.

რკინის გზასაც ჰყავს თავისი „მეფენი“: ჰულდი და ვანდერბილდი. სინდიკატმა ამათაც დიდი სამსახური გაუწია. შეერთებულ შტატების რკინის გზები თითქმის ამ ორ კაცს შორის არის განაწილებული, სხვანი ამ საქმიდგან კარგა ხანია გაჰდევნეს. ერთ მშვენიერ დილას ნიუ-იორკში ხმა გავრცელდა, რომ ვანდერბილდსა და ჰულდს შეტაკება მოუხდათო. ზოგი ამბობდა, ამის მიზეზი ერთი ლამაზი ბალერინა არისო, ზოგი—ვანდერბილდმა ჰულდი ცუდად მოიხსენიაო, ზოგი კიდევ რას. ასე თუ ისე, ამ ორ „მეფეს“ შორის ნამდვილად შეტაკება მოხდა. რადგანაც ომი პირველად ვანდერბილდმა დაიწყო, ამიტომ ზარბაზანიც პირველად იმანვე დასცალა: თავის რკინის გზაზედ ნიუ-იორკსა და კანადას შუა საკლავ საქონლის გადაზიდვის გარდასახადს დაუკლო და ეს გარდასახადი 40 მანეთის მაგიერ ვაგონში, 30 მანეთად გაჰხადა. არც ჰულდი ჩამორჩა, იმან კიდევ 20 მანეთად გაჰხადა, ასე იარეს, ვიდრე ვანდერბილდი $1^1/_2$ მანეთამდე არ ჩამოვიდა. ამაზედ მეტად დაკლება შეუძლებელი იყო. ჰულდმა ქედი მოიხარა, აღარც გარდასახადს დაუკლო და თავის გზაზედ საქონლის გადაზიდვაც მოსპო. ამავე დროს ვანდერბილდის რკინის გზაზედ საქონლის გადაზიდვამ ერთი ორად იმატა, რაიცა დიდ ზარალს აყენებდა პატრონს. ბოლოს ვანდერბილდმა კაცები გაგზავნა იმის გამოსაძიებლად, საიდგან მოდიოდა ეს ამოდენა საქონელი და თურმე რა აღმოჩნდა. ჰულდს რაც-კი კანადაში საკლავი საქონელი ყოფილა იმ დროს შეუსყიდნია და $1^1/_2$ მანეთად უზიდნია ვანდერბილდის რკინის გზით, ნიუ-იორკში ეს საქონელი უსაღებია და ერთი ორად მოუგია ფული. ამ რიგად ბრძოლის ველიდგან გამარჯვებული ჰულდი გამოვიდა.

რობერტ ნაიტის და კარნეჯის გამდიდრების ისტორიაც ისეთივეა, როგორც ზემოთ ჩამოთვლილთა. თვითვეულ მათგანს დღეს რამდენისამე ასის მილიონ მანეთის შეძლება აქვს. ორივენი ახალგაზრდობაში უბრალო მუშებად იყვნენ. თუმცა ნაიტმა თვით გამოსცადა სიღარიბე, მაგრამ დღეს ისე სასტიკად და ისე ცუდად მუშებს არც ერთი კაპიტალისტი არ ექცევა, როგორც ის და იმასავით არც არავინა სძულთ და ეზიზღებათ მუშებს.

ყველაზედ ახალგაზდა ამერიკელ მდიდართა შორის ოცის წლის იოსებ ლეიტერია. ამ ლეიტარმა შარშან ოთხის თვის განმავლობაში პურის ვაჭრობით 8 მილიონი მანეთი მოიგო; მაგრამ ესპანია-ამერიკის ომმა და შარშანდელმა მეტად კარგმა მოსავალმა ხელი შეუშალა და მოგებული ფული ხელ-ახლა წააგებინა. ეხლა ლეიტერს რძისთვის მოუკიდნია ხელი. თუმცა რძით ვაჭრობა ამ წლიდგან დაუწყვია, მაგრამ უკვე ახალ-ჯერსეის წვრილმანი ფერმები, რომლებიც ნიუ-იორკში ჰყიდდნენ რძეს, გაუუქმებია. დანარჩენნი შეერთებულან, რომ საერთო ძალით ბრძოლა გაუწიონ ძლიერ მეტოქეს, მაგრამ, როგორც იუწყებიან, ლეიტერი მალე იმათაც ჰბარგავს თურმე.

ჩვენ მარტო „მეფენი“ ჩამოვთვალეთ, მაგრამ ამერიკაში „დედოფალნიც“ მოიპოვებიან. ამათ შორის პირველი ადგილი ქ-ნ კინგს უჭირავს. ქმრის სიკვდილის შემდეგ ცოლს სულ მცირე შეძლება დარჩა. კინგმა საქონლის მოშენებას მიჰყო ხელი და ისე წაიყვანა საქმე, რომ მილიონების პატრონი გახდა. დღეს კინგს 800,000 მსხვილ-ფეხა საქონელი ეყოლება, 160,000 ცხვარი და 10,000 ცხენი. ყოველ წელიწადს 25—35 მილიონ მანეთის საქონელს ჰყიდის. ამას გარდა იმის მამული შვიდ ოლქად არის გაყოფილი და მთელ პროვინციას წარმოადგენს. მუშებს სხვებთან შედარებით კინგი ძალიან კარგათ ეპყრობა.

კინგს არც სუსანნა ემერი ჩამოუვარდება. ემერი მეტად ლამაზი, მოხდენილი და ახალგაზრდა, 26 წლის, ქალია. ქმარი ამ ხუთის წლის წინად მოუკვდა. დარჩა ემერს დაუმუშავებელი ვერცხლის მადაროები, რომელიც მაშინ გამოუსადეგრად მიაჩნდათ. ემერი კვლევა-ძიებას შეუდგა და მალე აღმოაჩინა, რომ მადაროები ვერცხლითაა მდიდარი. შემდეგ მუშაობასაც მიჰყო ხელი. დღეს იმის ქონება რამდენსამე ასს მილიონს აღემატება.

მილიონებმა ახალგაზრდა ქალს მრავალი საქრმო აღმოუჩინა. მარტო შარშან 138 კაცმა მიჰმართა და სთხოვა ცოლად გამომყევიო. მაგრამ სუსანნა ემერი ყველას უარს უცხადებს. დიაღაც, რომ უარს გამოუცხადებს და გაინაზება! 5—10,000 მანეთის პატრონნი ინაზებიან, მოდი და ასს-ორასს მილიონის პატრონი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ნუ გაინაზება!!

ი. ა—ძე

გამოტყუდათ. მანომ ხასიათი უქო დრეიფუსს, რომელიც იმის ღირსი არიო, რომ იმის წინ მისი საქმის გადასათვალიერებლის კრები ფრთხილ [illegible]. დასასრულ ბრალმდებელმა სთქვა თუ მკვირაო, სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვოს ჩემი თხოვნაო. მთელი საფრანგეთი, მთელი ქვეყნიერობა, მთელი ისტორია განჩინებას მოელისო, — სთქვა მანომ. ამიტომ ინებოს სასამართლომ 1894 წლის 22 დეკემბრის განჩინების დარღვევა, და დრეიფუსი ვითარცა [illegible], ისეთს სამხედრო სასამართლოს გადასცეს, როგორსაც სურდესო. (გახურებული ტაში ცემაა). კრება დაიშალა.

**მარსელი.** აუარებელი ბრბო ოვაციებით მიეგება მარშანს. სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთ სადილი გამართეს მარშანის პატივსაცემლად. სადილის შემდეგ მარშანი ხელით გამოიყვანეს.

**ჰააგა.** პირველ კომისიის ორივე მცირე კომისია გუშინდელ კრებაზე ვერ მორიგდნენ. ლაპარაკი ახალ შესაიარაღებელ იარაღის შესახებ იყო. ამერიკის დელეგატებმა წინადადება შეიტანეს სამუდამო სამედიატორო სასამართლოს დაარსების შესახებ. მათის პროექტის ძალით სამედიატორო სასამართლოს შესადგენად თვითეულ სახელმწიფოს თითო წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს და უნდა შესდგებოდეს სულ ცოტა სამის წევრისაგან. იმ სახელმწიფოთ, რომელნიც ხელს მოაწერენ ხელშეკრულობას სამედიატორო სასამართლოს შესახებ, ნება ექმნებათ თვით გადასწყვიტონ, სურთ თუ არა მიჰმართონ სამედიატორო სასამართლოს. სასამართლომ მაშინ უნდა დაადგინოს განაჩენი, როდესაც დარწმუნებულია, რომ მოწინააღმდეგენი დაემორჩილებიან იმის გარდაწყვეტილებას. სასამართლო მაშინვე იქმნება დაარსებული, როდესაც 9 სახელმწიფო (8 ევროპიელია) თანხმობას განაცხადებს. ამ პროექტის გარდა, ამერიკის დელეგატებმა მეორე პროექტიც წარადგინეს შუამავლობის შესახებ. თუ უთანხმოება მოხდა ორ სახელმწიფოს შორის, ამ პროექტით მათ უნდა აარჩიონ თითო სახელმწიფო, რომელთაც მოწმის მაგიერობა უნდა გასწიონ და უნდა ეცადნენ მოწინააღმდეგენი შეარიგონ. თუ ომი მოხდა, ეს მოწმე სახელმწიფონი უნდა ეცადნენ იმის მალე მოსპობას.

**პარიჟი.** საკასსაციო სასამართლო. სასამართლოს სხდომის დაწყებისათანავე მანო შეეხო იმ საიდუმლო საბუთის ქაღალდებს, რომლებიც მოსამართლეებს ეუწყა 1894 წ., და სთქვა, რომ კანონის მხრივ ეს საბუთის ქაღალდები არა არსებობსო, რადგან იგინი დრეიფუსისათვის არ წარუდგენიათო. მანომ დიდ ხანს განიხილა საიდუმლო dossier-ის საბუთები, განსაკუთრებით პანიცარდის დეპეშა, და დასასრულ მხნედ აღნიშნა, რომ საიდუმლო dossier-ი დრეიფუსის საწინააღმდეგო არა არის-რა და ამიტომ არ მესმის, აქამდის რად ერიდებოდნენ ასე იმის განხილვასო (მოძრაობაა).

**პარიჟი.** კრეზოში ქარხნის მუშებმა სრულიად დაანებეს თავი მუშაობას. მუშებმა შეადგინეს „წინააღმდეგობის სინდიკატი“. გაფიცულებმა მუშებმა ესროლეს ჟანდარმთა ცხენებს ფეხებში და უნდოდათ ცეცხლი წაეკიდებინათ იმ ადგილისათვის, სადაც ჯარის-კაცნი არიან დასადგურებულნი. მომრიგებელი მოსამართლე შაბათისათვის მოსარიგებელს კრებას იწვევს.

**პარიჟი.** საკასსაციო პალატა. მანომ, განიხილა რა ანრისა და პატი-დე-კლამის გაიძვერული მოქმედებანი, სთქვა, რომ არც ერთი საიდუმლო ბარათთაგანი არ გამოიწვევდა საპოლიტიკო აურ-ზაურსაო, არც ერთით არ ედება ბრალი დრეიფუსს და ვერც ერთი ვერ შეუშლის ხელს სასამართლოს დრეიფუსის საქმის გადასინჯვასაო.

**პარიჟი.** საკასსაციო პალატა. მანომ განიხილა უკვე ცნობილი საბუთები, სახელდობრ ისა, რომ ესტერგაზს საშუალება ჰქონდა ეცნობებინა სხვისთვის ბორდეროში ჩამოთვლილი საბუთის ქაღალდებიო. ბოლოს იკითხა: მართლა ჩადენილია ღალატი, თუ ჩვენ თვალწინ საიდუმლო ლანდია, თავ ხედი გაიძვერობა და ავ-კაცობა, ჩადენილი ბორდეროს ავტორის მიერ თავისის უცხო-ქვეყნელ კორრესპონდენტის მიმართ? ეს საშინელი საკითხია, რომელიც უფრო მწუხარე ამბამდე მიგვიყვანს, სახელდობრ, ადამიანის წამებულობამდე, იმ ადამიანისა, რომლის უდანაშაულობასაც რამდენიმე ახალი გარემოება აღნიშნავს. შემდეგ მანომ აღნიშნა პირადად რა ბრწყინვალე ყოფა-მდგომარეობაში იყო დრეიფუსი და დრეიფუსის ქცევა მოქმედება შეუდარა ესტერგაზის ქცევა-მოქმედებას. თან დასძინა, თუ არც ერთი შესაწყნარებელი მიზეზი არ არის, რომ გვიჩვენოს, აგვიხსნას, რად ჩაიდენდა დრეიფუსი ამ ბოროტებასაო, სამაგიეროდ მრავალი ნიშანია იმის მაჩვენებელი, რადაც შეეძლო ესტერგაზის ჩადენა ამ ბოროტებისაო.

**მოსკოვი.** როდესაც სახალხო მატარებელმა ყაზანის რკინის გზისამ გაიარა მე 107 და 108 ვერსზედ, ძლიერის ქარის გამო დიდს სავაჭრო დაბას რამდენსამე ადგილას ცეცხლი გაუჩნდა, თითქმის ნახევარი დაბის სახლებისა გადაიწვა. ხალხი გაბოროტებულია და მატარებელს ქვების სროლა დაუწყეს. მატარებლებს ჟანდარმები მისდევენ თან.

### გამოსადეგი ცნობა

ბაღლინჯოების გასაწყვეტად მალიან კარგია სპირტზედ დაყენებული რწყილის წამალი (სპარსული ფხვნილი). ეს წამალი უნდა ასხუროთ იმ ადგილებში, სადაც ბაღლინჯოებს ბინა აქვთ გაკეთებული. კარგია აგრეთვე თეზაფი და ნავთი წითლის წიწაკით.

### წერილი რედაქციის მიმართ.

15 მაისს ერთი რვა წლის ბავშვი ვნახეთ სოფელს ნოსირში (სენაკის მაზრა), რომელიც ამბობს, რომ დათიკო სეფე ქრისტაკის შვილი ვარო. მამა მკვდარი მყავს და დედა სოფ. ბზვანში სცხოვრობსო. ეს ამბავი მოხსენდა ადგილობრივს ბოქაულს. ბავშვი ჩემთან იმყოფება. შეიძლება ვინმე ეძებდეს და ამისათვის გაზეთით ვაცხადებ, რომ არ შეშინდეს მშობელი და ნათესავნი. შეუძლიანთ ბავშვის წასაყვანად მობრძანდნენ ჩემთან სოფ. ნოსირში, სადაც ბაქანია რკინის გზისა.

გიორგი თოფურიძე


### განცხადებანი

სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება ამა წლის 1 ივნისიდგან დაწყებული 1 სექტემბრამდე ნაშუადღევის 2 საათიდგან დაიკეტება. (3—6.—1)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—12)


### ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკს

8 მაისს 1899 წელს ჰქონდა ტირაჟი ამ ბანკის გირავნობის ფურცლებისა. ამ გირავნობის ფურცლებზედ ფულის გარდახდა დაიწყება 1899 წლის 1 ივლისიდგან. ფულის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში—ბანკის კასსაში. ს. პეტერბურგში—პეტერბურგის საურთო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; საბანკო სახლში ი. კ. იუნკერისა და ამხ. ოდესას—ბ. ნ. ო. ხაისთან; მოსკოვში—მოსკოვის საურთო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში; ტაგანროგში—აზოვო-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში, რიგაში—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში, რეველში—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში და სახელმწიფო ბანკში და ყოველ ამ ბანკის კანტორასა და განყოფილებაში.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონი, რომელთაც ვადა 1899 წლის 1 ივლისიდგან ფას დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ფასი იქმნება დაჭერილი.

ტირაჟში გამოსულ 5°/₀ გირავნობის ფურცლების ნომრები:

100 მანეთის ღირებულობისა

| 29 წლ. და 9 თვის ვადიანი | 36 წლ. და 4 თვის ვადიანი | 61 წლ. და 8 თვის ვადიანი | უვადონი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | 244 | 986 | 111 | 2150 | 2791 | 3984 | 6290 |
| 90 | 1526 | | 152 | 2295 | 2882 | 4927 | 6516 |
| 94 | 1864 | | 274 | 2440 | 3114 | 4928 | 6518 |
| | 2005 | | 275 | 2441 | 3143 | 4973 | 6519 |
| | 2012 | | 276 | 2698 | 3158 | 5321 | 6520 |
| | | | 277 | 2748 | 3247 | 5324 | 6564 |
| | | | 278 | 2749 | 3291 | 5375 | 6800 |
| | | | 537 | 2787 | 3399 | 5497 | 7529 |
| | | | 653 | 2788 | 3454 | 5548 | |
| | | | 888 | 2789 | 3601 | 5960 | |
| | | | 1514 | 2790 | 3674 | 5988 | |

500 მანეთის ღირებულობისა

| 36 წლ. და 4 თვის ვადიანი | 61 წლ. და 8 თვის ვადიანი | უვადონი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 367 | 308 | 35 | 813 | 1371 | 1733 | 2500 | 3194 | 4761 |
| 404 | 223 | 86 | 819 | 1372 | 1750 | 2529 | 3219 | 4762 |
| 685 | | 100 | 1043 | 1373 | 1759 | 2563 | 3352 | 4851 |
| | | 142 | 1044 | 1374 | 1773 | 2564 | 3354 | 4856 |
| | | 192 | 1045 | 1559 | 1783 | 2589 | 3359 | 4857 |
| | | 242 | 1046 | 1560 | 1901 | 2590 | 3366 | 4928 |
| | | 274 | 1047 | 1565 | 1918 | 2742 | 3367 | 4929 |
| | | 282 | 1048 | 1566 | 1958 | 2760 | 3376 | 4930 |
| | | 312 | 1057 | 1567 | 2102 | 2808 | 3385 | 4931 |
| | | 370 | 1058 | 1568 | 2311 | 2839 | 3386 | 4932 |
| | | 642 | 1071 | 1569 | 2332 | 2841 | 3391 | 5201 |
| | | 643 | 1106 | 1570 | 2367 | 2843 | 3519 | 5207 |
| | | 644 | 1107 | 1602 | 2368 | 2844 | 3920 | 5220 |
| | | 651 | 1108 | 1625 | 2435 | 2882 | 3997 | 5223 |
| | | 684 | 1168 | 1652 | 2449 | 2891 | 3999 | |
| | | 685 | 1197 | 1653 | 2468 | 2962 | 4155 | |
| | | 731 | 1236 | 1671 | 2469 | 3067 | 4156 | |
| | | 811 | 1237 | 1714 | 2491 | 3069 | 4158 | |
| | | 812 | 1298 | 1724 | 2494 | 3193 | 4315 | |

ათას მანეთიან ღირებულობისა

| 31 წლის და 4 თვის ვადიანი | უვადონი | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 445 | 12 | 1541 | 2092 | 3749 | 5288 | 6525 | 9973 | 13215 | 17967 | 18939 |
| 485 | 13 | 1637 | 2093 | 3754 | 5289 | 6526 | 9976 | 13241 | 17968 | 18961 |
| 524 | 32 | 1638 | 2107 | 3081 | 5290 | 6527 | 10048 | 13301 | 17988 | 18962 |
| 531 | 37 | 1639 | 2338 | 3833 | 5291 | 6606 | 10107 | 13330 | 18049 | 18966 |
| 618 | 80 | 1640 | 2356 | 5857 | 5292 | 6622 | 10152 | 13347 | 18050 | 18967 |
| 631 | 241 | 1660 | 2401 | 3871 | 5293 | 6630 | 10207 | 13544 | 18094 | 18968 |
| 843 | 245 | 1661 | 2558 | 3872 | 5295 | 6882 | 10426 | 13806 | 18095 | 18969 |
| 909 | 283 | 1665 | 2597 | 3898 | 5373 | 6961 | 10488 | 13894 | 18096 | 18971 |
| | 288 | 1706 | 2792 | 3899 | 5436 | 6962 | 10532 | 14090 | 18132 | 19068 |
| | 301 | 1707 | 2803 | 4058 | 5438 | 6963 | 10533 | 14228 | 18134 | 19069 |
| | 316 | 1715 | 2904 | 4235 | 5564 | 7089 | 10535 | 14418 | 18135 | |
| | 381 | 1754 | 3010 | 4286 | 5615 | 7140 | 10853 | 14670 | 18136 | |
| | 581 | 1799 | 3052 | 4297 | 5632 | 7191 | 10854 | 14720 | 18150 | |
| | 747 | 1802 | 3074 | 4298 | 5637 | 7192 | 10855 | 14938 | 18151 | |
| | 768 | 1826 | 3161 | 4440 | 5752 | 7193 | 11083 | 15078 | 18152 | |
| | 802 | 1884 | 3316 | 4466 | 5782 | 7362 | 11175 | 15504 | 18153 | |
| | 820 | 1917 | 3353 | 4488 | 5794 | 7584 | 11185 | 16103 | 18154 | |
| | 858 | 1918 | 3378 | 4528 | 5802 | 7639 | 11520 | 16270 | 18155 | |
| | 859 | 1919 | 3387 | 4741 | 5937 | 7646 | 11708 | 16273 | 18156 | |
| | 860 | 1932 | 3391 | 4865 | 5986 | 7690 | 11709 | 16274 | 18251 | |
| | 868 | 1947 | 3394 | 4892 | 5987 | 7706 | 11827 | 16307 | 18308 | |
| | 954 | 2007 | 3424 | 4911 | 5988 | 7785 | 11868 | 16468 | 18572 | |
| | 1019 | 2008 | 3451 | 4912 | 5989 | 7790 | 11870 | 16469 | 18573 | |
| | 1207 | 2009 | 3459 | 4928 | 5990 | 8038 | 11871 | 16470 | 18574 | |
| | 1214 | 2024 | 3559 | 5016 | 5991 | 8208 | 12466 | 16471 | 18575 | |
| | 1218 | 2025 | 3564 | 5017 | 5992 | 8416 | 12506 | 16472 | 18930 | |
| | 1219 | 2087 | 3629 | 5099 | 5993 | 8468 | 12516 | 17200 | 18931 | |
| | 1493 | 2088 | 3640 | 5178 | 5994 | 9095 | 12580 | 17233 | 18932 | |
| | 1517 | 2089 | 3641 | 5192 | 6073 | 9299 | 12770 | 17888 | 18933 | |
| | 1537 | 2090 | 3644 | 5232 | 6074 | 9337 | 12771 | 17947 | 18937 | |
| | 1538 | 2091 | 3723 | 5287 | 6277 | 9338 | 12772 | 17966 | 18938 | |

| 100 მან. ღირებულობისა | | | 1000 მან. ღირებულობისა | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 151 | | 262 | 1189 | |
| 2 | 215 | | 713 | 1360 | |
| 7 | 261 | | 1100 | 1370 | |
| 8 | 289 | | 1103 | 1387 | |
| 112 | | | | | |

Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Мая 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე